უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №20

თბილისი 08.11.2019

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

მარიამ დარბაიძე - სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე - საბჭოს თამჯდომარე;
თინათინ ბოჭორიშვილი - შპს „საქართველოს უნივერსიტეტის" სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.
ნინო ხოლუაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
რიმა ბერიაშვილი - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, ციტოპათოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;
ლევან იმნაიშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის კომპიუტერული ინჟინერიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
აკაკი ხელაძე - შპს - საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი;
ქეთევან ცხადაძე - შპს "თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის" დეკანი, პროფესორი;
ქეთევან კოტეტიშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი;
რამაზ საყვარელიძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;
მარინა გედევანიშვილი - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
დალი კანდელაკი - სსიპ - იავნე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, საუნივერსიტეტო საბჭოს აპარატის უფროსი;
კონსტანტინე სირბილაძე - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
გიორგი აბრამიშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს შემოქმედებითი კავშირ საქართველოს საინჟინრო აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი;
ირაკლი ხვთისიაშვილი - ა(ა)იპ - ასოციაცია STAB-ის დირექტორი, გამგეობის წევრი;

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:
გაგა გვენეტაძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი:
არჩილ ფრანგიშვილი - რექტორი;
ქეთევან ქოქრაშვილი - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლერი);
ირმა ინაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.

ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი:
დავით კერესელიძე - აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე;
ეკატერინე აზარაშვილი - კანცლერი;
ხათუნა რცხილაძე - სტომატოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელი;
ნატალია წერეთელი - სტომატოლოგიის პროგრამის ხელმძღვანელი;
მაია გელაშვილი - ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნის კოორდინატორი.

შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტი:
გიორგი ამილახვარი - უნივერსიტეტის რექტორი;
ნათია ვაჭარაძე - ხარისხის მართვის დეპარტამენტის უფროსი;
ირმა ნოზაძე - ხარისხის მართვის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;
ნანა ჯანაშია - სასწავლო და ადმინისტრაციულ საქმეთა მართვის დეპარტამენტის უფროსი;
ქეთევან ცხადაძე - სამართლის სკოლის დეკანი;
ქეთევან მდინარაძე - ბიზნესის და ინჟინერიის სკოლის დეკანი;
ჯილდა ჭეიშვილი - მედიცინის სკოლის დეკანი;
მექი ლობჟანიძე - ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლის დეკანი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

ლილი ხეჩუაშილი;
ირმა მანჯავიძე.

სხვა დამსწრე პირები
ქრისტინე გაბისონია - სტენოგრაფისტი.

საბჭოს სხდომა დაიწყო 15:06 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, მარიამ დარბაიძემ. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ავტორიზაციის რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;

2. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტისთვის სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა;

3. შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ, საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა წარდგენილი არ იქნა. შესაბამისად, საბჭომ ერთხმად დაამტკიცა წარმოდგენილი სხდომის დღის წესრიგი.

1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ავტორიზაციის რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება, წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონია.

თვითაცილება გამოაცხადეს საბჭოს წევრებმა: ლევან იმნაიშვილმა, ქეთევან კოტეტიშვილმა, გიორგი აბრამიშვილმა და ნინო ხოლუაშვილმა. საბჭოს თავმჯდომარის დავალებით, აღნიშნულ საკითხზე სხდომის მდივნის მოვალეობის შესრულება დაეკისრა დალი კანდელაკს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს წარმოედგინა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაციების შესრულებული ანგარიში.

დაწესებულების წარმომადგენელმა, უსდ - ს რექტორმა, არჩილ ფრანგიშვილმა მოახსენა საბჭოს წევრებს, რომ მათ ავტორიზაცია გაიარეს 2018 წელს და ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იქნა რეკომენდაციები. მისი თქმით, ყველა რეკომენდაცია შესრულებულია და მათი შესრულება არ წარმოადგენდა არანაირ სირთულეს. მან აღნიშნა, რომ გასაგები იყო რეკომენდაციების გაცემის მიზეზი.

რექტორმა დააფიქსირა, რომ აღნიშნული რეკომენდაციები განპირობებული იყო ახალი ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნებიდან გამომდინარე. რეკომენდაციებზე მუშაობის პროცესში რექტორის განმარტებით, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, მონიტორინგის ჯგუფი, რომელშიც შედიოდა თავად რექტორი, დეპარტამენტის ხელმძღვანელებთან და ადმინისტრაციულ ხელმძღვანელებთან ერთად. პროცესში ჩართულები იყვნენ არა მხოლოდ აკადემიური პერსონალი და სტუდენტები, არამედ სპეციალისტებიც. რექტორმა აღნიშნა, რომ რეკომენდაციების გაცემის შედეგად მათ ბევრი პოზიტიური შედეგი მიიღეს. თუმცაღა რექტორი თვლის, რომ ამ რეკომენდაციების გარეშეც არ ჰქონდათ ცუდი შედეგები.

რაც შეეხება რეკომენდაციებს ის შეეხებოდა მართვის პრობლემას, მატერიალური და ფინანსური რესურსების ეფექტურობას, შიდა ხარისხის მართვის ეფექტურობის გაზრდას, აკადემიური პერსონალისა და სამეცნიერო პერსონალის უფრო ეფექტურად გამოყენებას, პროცესში ახალგაზრდების მეტად ჩართვას, სილაბუსების გადახედვას, რასთან დაკავშირებითაც მან აღნიშნა, რომ ლიტერატურის პრობლემა ყველა უნივერსიტეტის პრობლემაა და მათი განახლება მუდმივი პროცესია. მან კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ყველა რეკომენდაცია შესრულებულია, სამუშაო ჯგუფმა ძალიან კარგად იმუშავა და ყველა საკითხი, რომელზეც საპასუხო წერილში იყო საუბარი ფორმალიზებული და წარმოდგენილია დანართის სახით, როგორც მტკიცებულება. დაწესებულების წარმომადგენელმა პირველ რეკომენდაციასთან, უნივერსიტეტის მისიასთან გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ არ არის აუცილებელი ორი უნივერსიტეტის მისია ერთმანეთისგან განსხვავდებოდეს, ეს არის ჩვეულებრივი კონკურენციის სიტუაცია და მისიები მსოფლიოს მასშტაბით არის ერთნაირი, მისი თქმით, არავინ არ ხსნის

უნივერსიტეტს იმიტომ, რომ მას ჰქონდეს რაიმე კონკრეტული მისია, რომელიც განსხვავდება სხვა უნივერსიტეტებისაგან, თუმცა მათ გაითვალისწინეს რეკომენდაცია. უსდ - ს წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტები განსხვავდებიან ერთმანეთისგან თავიანთი ხედვებით, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების სტილით, რომელ ექსპერტებს მოიწვევენ და ა. შ. მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის განმასხვავებელი ნიშა არის რეალურ ეკონომიკურ სექტორში მონაწილეობა: მრეწველობა, ინოვაციური საქმიანობა, ახალი ტექნოლოგიები, სწორედ ეს არის უნივერსიტეტის მისია, რომლის უკანაც დგას მთელი მათი საქმიანობა. მისიის ჩამოყალიბებამ გამოიღო დადებითი შედეგი, რადგან მან უფრო ნათლად აჩვენა მათი ადგილი მსოფლიოში. გამომდინარე ინოვაციური საქმიანობიდან, ისინი გახდნენ ძალიან ცნობილები იაპონიაში, შვეიცარიაში, აშშ - ში საიდანაც ისინი იღებენ დაკვეთებს, შესაბამისად მათი მისია გამართლებულია საქმიანობით.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა საბჭოს წევრებს სტანდარტების მიხედვით დაესვათ შეკითხვები.

საბჭოს წევრმა დალი კანდელაკმა ამოიკითხა უნივერსიტეტის ხედვის დოკუმენტიდან, რომ ახალი ორგანიზაციული ერთეულებია სადოქტორო და სამაგისტრო ფაზის ფაკულტეტთაშორისი საუნივერსიტეტო სტრუქტურები (კურსდამთავრებულთა სკოლები და კოლეგიები). მან სთხოვა უსდ - ს წარმომადგენელს უფრო ვრცლად ესაუბრა აღნიშნულის შესახებ.

უსდ - ს რექტორმა პირველ რიგში აღნიშნა, რომ სტრატეგიულ გემაში მათ გაწერილი ჰქონდათ ახალი ორგანიზაციული ერთეულებს შექმნა, მიუხედავად იმისა შეცვლიდნენ თუ არა მისიას და დაამატა, რომ მათ აქვთ 12 ფაკულტეტი, 15 კვლევითი ინსტიტუტი და 60 - ზე მეტი მოქმედი სამეცნიერო ცენტრი. მისი თქმით, ახალი სერიოზული შედეგების მიღება შესაძლებელია მიმართულებების კვეთაზე მულტიდისციპლინარული მიმართულებით. შესაბამისად, შექმნეს სპეციალური დანაყოფები, სასწავლო დეპარტამენტები, კვლევითი ინსტიტუტები, რომელიც მისცემდათ საშუალებას გამოეყენებინათ სხვადასხვა ფაკულტეტების პოტენციალები. მისი განმარტებით, ეს მიდგომა განხორციელდა სამ ფაკულტეტზე: ბიზნეს ტექნოლოგიების, სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების და მედია ტექნოლოგიების, საინჟინრო ეკონომიკის და სოციოლოგიის მიმართულებით. ამ სამსახურებზე დაყრდნობით შექმნეს ახალი ერთეული კურსდამთავრებულთა სკოლა (Graduate school), რომელშიც ჩართულია სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამები, წამყვანი მეცნიერები გერმანიიდან და ინგლისიდან. უსდ - ს წარმომადგენლის განმარტებით, ეს ფაკულტეტი შეიქმნა, როგორც ვირტუალური ფაკულტეტი, რომელიც ემსახურება ამ სამ ფაკულტეტს და ქმნის ახალ მულტიდისციპლინარულ მიმართულებებს, რომლებიც არის პრაქტიკულად ყველა დარგში. მაგალითად, საინჟინრო სამართალი, სამშენებლო სამართალი, სატრანსპორტო სამართალი, კოსმოსური სამართალი. მან აღნიშნა, რომ ენერგეტიკულ სამართალში არ არსებობს არცერთი იურისტი, ვინც დაიცავს საქართველოს ინტერესებს ქვეყნის შიგნით ან გარეთ. ასევე, არ არსებობს არც სატელეკომუნიკაციო სივრცეში და კოსმოსურ სამართალში. შესაბამისად, შეიქმნა სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები უცხოელ კოლეგებთან კოოპერაციის შედეგად.

უსდ - წარმომადგენლის თქმით, ამჟამად მუშავდება ხელოვნური ინტელექტისა და სამართლის პრობლემების პროგრამა ოქსფორდის უნივერსიტეტთან ერთად და რომლის მსგავსი პროგრამა არსებობს მხოლოდ სამ ადგილას. მან თქვა, რომ ისინი ეძებენ მათ ნიშას, რომელიც უცხოელებთან კოლაბორაციაში იქნება საინტერესო. რაც შეეხება სწავლების ენას მან აღნიშნა, რომ ეს არის პირველ რიგში ინგლისური და გერმანული ენები და შემდეგ ქართული ენა. ასეა სამშენებლო, ენერგეტიკის ფაკულტეტზე და ა. შ. მან აღნიშნა, რომ –„ექსელენს კლასტერები“ (Excellent

Cluster) გულისხმობს იმას, რომ მათ აქვთ სამეცნიერო მიმართულებები, თემატიკაზე აწყობილი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამები. სამეცნიერო მიმართულებას რაც შეეხება, უნივერსიტეტს გამოკვეთილი აქვს 11 მიმართულება, რომელშიც ჩართულია ყველა ფაკულტეტი, 15 ინსტიტუტი და ეს არის მათი ვირტუალურად გაერთიანება სხვადასხვა კონფიგურაციებით.

საბჭოს წევრმა დალი კანდელაკმა სთხოვა უსდ - ს წარმომადგენელს უფრო დეტალურად ესაუბრა ვირტუალური ფაკულტეტისა და მის მართვასთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ვირტუალური ფაკულტეტი ნიშნავს იმას, რომ მაგალითად კურსდამთავრებულთა სკოლა (Graduate school) ჰყავს თავისი ხელმძღვანელი, პროფესორები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ისინი არიან გადანაწილებულები, იმიტომ, რომ ფაკულტეტს უნდა ჰყავდეს ფაკულტეტის საბჭო - მართვის ორგანო, სადაც უნდა შედიოდნენ მისი სტუდენტები. უსდ - ს წარმომადგენლის თქმით, ვირტუალური ფაკულტეტი არის 3 ფაკულტეტის მიქსი, რომელიც თავად არ იღებს გადაწყვეტილებებს, ის უგზავნის მას აღნიშნულ სამ ფაკულტეტს, რათა მათ საბჭოებზე დაამტკიცონ ესა თუ ის პროგრამა. მან აღნიშნა, რომ ეს არის იდეალურად მომუშავე სისტემა, რადგან მულტიდისციპლინური სისტემა მუდმივად ცვალებადია და ერთი საგანმანათლებლო პროგრამისათვის ფაკულტეტის შექმნა არის აბსურდი. მისი მოსაზრებით, ეს მექანიზმი არ არის რთული, კურსდამთავრებულთა სკოლა (Graduate school) წინადადებით შედის და სამივე ფაკულტეტი თუ ეთანხმება გაერთიანებულ საბჭოზე ხდება მისი დამტკიცება.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა ფაკულტეტის საბჭოში აკადემიური პერსონალი იყო თუ მოწვეული სპეციალისტები, რაზეც რექტორმა უპასუხა, რომ ფაკულტეტის საბჭოში არიან მოწვეული სპეციალისტები, თუმცა ისინი უკვე აცხადებენ კონკურსს და აიყვანენ სხვადასხვა ფაკულტეტიდან პერსონალს, რომელიც იქნება უნივერსიტეტში მომუშავე და დაემორჩილება ფაკულტეტს, კვალიფიკაციის მინიჭება კი მოხდება საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ქეთევან ქოქრაშვილმა დაამატა, რომ ვირტუალურ ფაკულტეტს არ ჰყავს კანონით დაშვებული საკუთარი მმართველობითი ორგანო. მან განმარტა, რომ ის არის ერთგვარი ჰაბი, რომელიც აკავშირებს სამ ფაკულტეტს, კვალიფიკაციების მინიჭება კი მოხდება ამ სამი ფაკულტეტის მიერ. მისი თქმით, ეს არის ვირტუალური ფაკულტეტი მისი ყველა პარამეტრით, რომელიც მულტიდისციპლინარულ კვლევებს, დისციპლინებს ახორციელებს უნივერსიტეტის ფარგლებში.

უნივერსიტეტის რექტორმა კი თავის მხრივ დაამატა, რომ მათ აქვთ დეპარტამენტები სამშენებლო ფაკულტეტზე, რომელიც ემსახურება სამშენებლოსაც და სატრანსპორტოსაც. მაგალითად, სპეც მანქანები არის როგორც სამშენებლოს ისე სატრანსპორტოს დაქვემდებარებაში. თუ მეტი წილი საკითხების არის სატრანსპორტო ფაკულტეტის დაქვემდებარებაში, მაშინ ის გასცემს კვალიფიკაციას, თუ სამშენებლო საკითხები მეტია, მაშინ სამშენებლო ფაკულტეტი ანიჭებს კვალიფიკაციას. მისი განმარტებით, ეს მოდელი უკვე 2 წელია მუშაობს.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ეს მოდელი ძალიან საინტერესოა კურსდამთავრებულებისათვის დასაქმების კუთხით.

საბჭოს წევრი ირაკლი ხვთისიაშვილმა ამოიკითხა ამონარიდი უსდ - ს ხედვიდან: „დღევანდელ საუნივერსიტეტო სივრცეში დაიმკვიდროს საკუთარი მონეტალური ადგილი, რომელიც

დაფუძნებულია თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ჰუმანურობის ჰიბრიდულ მოდელზე." საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის ხედვა მდგომარეობს იმაში, რომ გარეშე პირმა გაიგოს თუ საითკენ მიდის უნივერსიტეტი და რა ხედვა აქვს მას მომავალში. ის დაინტერესდა რამდენად მარტივად აღქმადი მიაჩნია უსდ - ს წარმომადგენელს ხედვის ასეთი ფორმულირება გარეშე პირებისათვის, რადგან სტუდენტმა, არა დარგის სპეციალისტმა უნდა გაიგოს მისი შინაარსი.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრს უპასუხა, რომ აბიტურიენტისათვის, რომელიც უნივერსიტეტში აბარებს ამ ჩანაწერის გაგება არ უნდა იყოს რთული, თუმცა შეიძლება რიგ შემთხვევებში ასეც მოხდეს. მან განიხილა ჩანაწერი და განმარტა სიტყვა - სიტყვით. (ჰიბრიდული - ნაზავი; ჰუმანურობის მაგალითი - ხელოვნური ინტელექტის განხილვა, სამართალისა და ეკონომიკის რაკურსით, ჰიბრიდი გამომდინარე ჰუმანიზაციიდან.) მისი თქმით, აბიტურიენტმა უნდა იცოდეს სადამდე შეიძლება ტექნოლოგიების მიყვანა, მაგალითად, არსებობს რობოტები რომლებიც სარგებლობენ მოქალაქეების უფლებებით (ბელგია). მისი მოსაზრებით, არ არის რთული ჩანაწერის გაგება, რადგან საუბარია უნივერსიტეტზე და ხარისხის დასადებად აბიტურიენტმა უკვე უნდა იცოდეს ისეთი სიტყვების განმარტება, როგორიც ჰიბრიდი და ჰუმანურობაა. სტემ (STEM) მიმართულებასთან დაკავშირებით კი აღნიშნა, რომ ის გულისხმობს საბუნებისმეტყველო და ტექნოლოგიების მიმართულებების განვითარებას, ჰუმანიტარული მიმართულების გარეშე. მან თქვა, რომ სტემ მიმართულებაში შევიდა ახალი კომპონენტი, რომელსაც ჰქვია ეი (A) და გახდა STEAM. ეი ამ შემთხვევაში ნიშნავს ხელოვნებას და მთლიანი ტექნოლოგიური სამყარო ამბობს იმას, რომ ხელოვნების, ჰუმანიზაციის გარეშე კრეატიული იდეები აღარ არსებობს. შესაბამისად, ფაკულტეტები მოითხოვენ ჰიბრიდულობის შემოტანას, ასევე, მან კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი კვლევითია.

საბჭოს წევრი, კონსტანტინე სირბილაძე 1.2 ქვესტანდარტთან დაკავშირებით დაინტერესდა რა მოცულობის იყო სტრატეგიული სამოქმედო გეგმების შემუშავების, კოორდინაციისა და შესყიდვების სისტემური ანალიზის განყოფილება, ვინ არიან პროფესორები და რამდენად დატვირთული არიან ისინი.

უსდ - ს წარმომადგენელმა უპასუხა საბჭოს წევრს, რომ მათ შემოიტანეს ახალი სიტემა, რომელიც აძლიერებს ამ ნაწილს, სტრატეგიული დაგეგმარება არ ნიშნავს მხოლოდ ქაღალდზე აღწერას და ერთი ერთში შესრულებას. მისი თქმით, დაგეგმარების დეპარტამენტში მუშაობს სამი კაცი, რომლებიც ცვლის 150 კაციან კორპუსს ტექნოლოგიების დახმარებით. უნივერსიტეტის ერთ - ერთი მიმართულება ინფორმატიკა არის ყველაზე დიდი საქართველოში, სადაც სწავლობს 4 000 მეტი სტუდენტი, მუშაობს 300 - ზე მეტი პედაგოგი და სამი მძლავრი კვლევითი ინსტიტუტი აიტის მიმართულებით (კიბერნეტიკის, გამოთვლითი მათემატიკის, ახალი შექმნილი - ბირთვული ინჟინერიის). უსდ - ს წარმომადგენლის განმარტებით, აღნიშნული სამი ადამიანი ამუშავებენ პარამეტრებს, ხოლო მოდელს, რომელიც მათ სთავაზობს ამა თუ იმ სცენარს ამუშავებენ აიტი უნივერსიტეტში. შესაბამისად, აღნიშნულზე სამი კაცის გარდა სხვებიც მუშაობენ. რაც შეეხება შეკითხვის მეორე ნაწილს თუ რამდენადაა საჭირო ეს განყოფილება, რექტორმა თქვა, რომ სტრატეგიული გეგმის მიხედვით გაწერილი რუკა ცვალებადია. მაგალითად, სტუდენტმა შემოიტანა წინასწარ გათვლილი თანხის 60% და საჭირო გახდა რესურსის სხვაგვარად განაწილება, ხელახლა დათვლა, სწორედ, ამიტომ არის საჭირო ეს განყოფილება. ასევე, რექტორის თქმით, იგეგმება ახალი ერთეულის შექმნა, რომელშიც ჩართული იქნებიან საერთაშორისო მეგობრები.

საბჭოს წევრი ირაკლი ხვთისიაშვილი დაინტერესდა თუ რომელ მოდელებს იყენებდა უნივერსიტეტი სტრატეგიული მეთოდოლოგიების შემუშავებისას, რადგან მან ნახა მხოლოდ მეთოდოლოგიის თავი კონკრეტული მეთოდოლოგიის მითითების გარეშე.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა საბჭოს წევრს, რომ ისინი იყენებენ სტანდარტულ მოდელებს, ისეთ როგორიცაა პესტ ანალიზი (PEST), სვოტ ანალიზი (SWOT) და სხვები. მეთოდოლოგიაა - გაანალიზება ხარისხობრივი პარამეტრების, მოდელი - მაგალითად, აისიკი.

საბჭოს წევრმა ირაკლი ხვთისიაშვილმა აღნიშნა, რომ რეკომენდირებულია მათ გააკეთონ ორგანიზაციის შიდა კვლევა - სიძლიერისა და საფრთხეების კუთხით, გარე კვლევა - ინდუსტრიის, ქვეყნის, გარემოს კუთხით. უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს მეთოდოლოგია, ისეთი როგორიც არის პორტერის ანალიზი, გარემოს კვლევის, შიდა შესაძლებლობების ანალიზი, კონკურენტული მდგრადი უპირატესობების ანალიზი და ამის საფუძველზე შექმნას სვოტი, რომელიც არის ანალიზის შედეგად მიღებული შეჯამებული დასკვნა. მან აღნიშნა, რომ აღნიშნული არ იკითხება ამ თავში.

რექტორმა აღნიშნა, რომ მსგავსი ანალიზი საქართველოში გაკეთდა მხოლოდ ერთხელ, მისი ხელმძღვანელობით, ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ და ის ეხებოდა ენერგეტიკის საკითხებს, მდგრად განვითარებას, რომლის შედეგიც იყო სვოტ და პესტ ანალიზი.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის სპეციფიკიდან გამომდინარე ალბათ რექტორი გულისხმობდა ინდიკატორებს, რომლებიც აღმოაჩენენ სამიზნე ნიშნულებს. საბჭოს თავმჯდომარემ დაამატა, რომ ისიც სპეციფიური სასწავლებლის წარმომადგენელია და ისინი იყენებენ პრეს ანალიზს. მისი განმარტებით, სამინისტროს სტრატეგიული გეგმის შემუშავებისას იყენებენ სხვა ანალიზს და თავდაცვის აკადემიის შემთხვევაში სხვას.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ქეთევან ქოქრაშვილმა თავის მხრივ დაამატა, რომ მისი ჩამონათვალი მოიცავს გარკვეულ რისკებს და რეკომენდაცია ამ კუთხით გათვალისწინებულია. მისი თქმით, მიმდინარე წლის დასაწყისში სენატისა და აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებული იქნა უნივერსიტეტის რისკების მართვის მეთოდოლოგიის სახელმძღვანელო, რომელიც სთავაზობს მეთოდოლოგიას შიდა და გარე რისკების შესაფასებლად.

საბჭოს წევრმა ირაკლი ხვთისიაშვილმა აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში რჩება შესაძლებლობების, საფრთხეების და სიძლიერეების პარამეტრები, რაზეც უსდ - ს წარმომადგენელმა უპასუხა, რომ აბსოლუტურად ყველა პარამეტრი არის გათვალისწინებული და ჩაშლილი რაც შეიძლება მეტ პარამეტრად. ასევე, დაამატა, რომ 3 – 4 დღის უკან მათ აირჩიეს სხვა სტრატეგია, რომლის შედეგადაც უფრო გააძლიერებენ ამ შეფასებებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ მათ კითხვები მეორე სტანდარტთან დაკავშირებით, რაზეც უპასუხეს, რომ თვითშეფასების ანგარიშში ამომწურავად არის პასუხი მოცემული.

დაწესებულების წარმომადგენელმა თავის მხრივ აღნიშნა, რომ მათ სინამდვილეში ახალი არაფერი გაუკეთებიათ, გარდა იმისა, რომ მოახდინეს დოკუმენტების სისტემატიზაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ გაიხსენა მისი ექსპერტობის პერიოდი, როდესაც ის დიდ ინსტიტუციებს ამოწმებდა და აღნიშნა, რომ მისთვის ნაცნობია თუ როგორი რთულია სისტემატიზაციის პერიოდი. ასევე, მეოთხე სტანდარტთან დაკავშირებით შეეკითხა უსდ - ს წარმომადგენელს თუ როგორ მართავდა ის ამხელა ინსტიტუციას, აკადემიურ პერსონალსა და დამხმარე (მომსახურე) პერსონალს.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ისინი შეეცადნენ გაცნობოდნენ კომუნისტების დროს არსებულ სტანდარტს, მიახლოებით კოეფიციენტს, პერსონალთა შეფარდებებს, თუმცა ვერაფერი ვერ ნახეს, ნახეს მხოლოდ ზოგადი ინფორმაცია და მოუსმინეს იმ დროს მომუშავე პერსონალს. მისი თქმით, ფორმალიზებული დოკუმენტი აღნიშნულის შესახებ არ არსებობდა. შესაბამისად, მათ დაიწყეს ევროპის, ამერიკის უნივერსიტეტების შესწავლა, მაგალითად, სტენფორდის უნივერსიტეტის სადაც შეფარდებები იყო 1/10 და 1/8 - სთან. გამომდინარე ამ შეფარდებიდან მათ დაადგინეს, რომ პერსონალის, პროფესორ - მასწავლებლების რაოდენობა არის საკმაოდ დიდი, საჭიროა ბიუჯეტის 2 - ჯერ მეტი რაოდენობა. უსდ - ს წარმომადგენელის თქმით, უნივერსიტეტი დგას დილემის წინაშე, ირჩევს ის კლასიკურ სისტემას (მეტი ლექცია, მეტი თეორიული მასალა და ნაკლები პრაქტიკა, 200 – 400 კაციანი აუდიტორია), რაც ბაზარს აღარ სჭირდება თუ ახალ სისტემას (პრობლემატიკის დასმა და შემდეგ ლაბორატორიაში მისი განხილვა). ლაბორატორიული სივრცეების ქონა არის ძალიან ძვირი, სადაც ერთი ლექტორი მოემსახურება 25 სტუდენტს, მისი თქმით, ისინი ძალიან დიდ თანხებს ხარჯავენ აიტი ლაბორატორიისათვის, რომელიც არის ჰაბი, ფანტასტიკური სივრცე და სადაც ჩაშლილია, ჰარდი, სოფტი და ბიოსამედიცინო სივრცე.

უსდ - ს წარმომადგენლის განმარტებით, დაახლოებით 7 წელი ისინი თავისუფლები არიან ფიქრისგან, რომ რაიმე ახალი შემოვა და სტუდენტებს არ ექნებათ შესაძლებლობა გამოიყენონ ის, თუმცა მათ შეუძლიათ შეზღუდული რაოდენობის სტუდენტებს მისცენ ეს შესაძლებლობა, თითო ლაბორატორიაში (სულ - 500 - ზე მეტი) - დაახლოებით 15 სტუდენტს. როცა გათვლას აკეთებენ თუ რამდენი პედაგოგი სჭირდება დაწესებულებას, ისინი ითვალისწინებენ პირველი, რა ლაბორატორიულ სივრცეებს ქმნიან და მეორე, ლაბორატორიებში უნდა იყოს პროფესორი, რადგან ტექნოლოგიური ციკლების დროს სტუდენტი იღებს იმ ცოდნას, რა პრობლემატიკაც დააყენა პროფესორმა ლექციის დროს. უსდ - ს წარმომადგენლის განმარტებით, თითოეული მიმართულების შემთხვევა ცალკე განიხილება აკადემიური საბჭოს დონეზე. რაც შეეხება დამხმარე პერსონალს სახელმწიფო აუდიტი დასკვნაში მუდმივად აღნიშნავდა, რომ სასურველი იყო პერსონალის შემცირება, რის შემდეგაც რექტორმა შექმნა სპეციალური სტრუქტურა საერთაშორისო დეპარტამენტის შემადგენლობაში, რომელიც დაკავებული იყო მხოლოდ ხარისხიანი მართვის შემუშავების კუთხით, შეისწავლეს ძალიან ბევრი საერთაშორისო გამოცდილება და შექმნეს თავიანთი მოდელი. მისი თქმით, პერსონალის ფუნქციები არის ფორმალიზებული, თითოეულის ფუნქციები არ იკვეთება ერთმანეთთან, სხვა უნივერსიტეტებთან შედარების შემთხვევაში კი დამხმარე პერსონალი გაცილებით მეტი რაოდენობით ჰყავს წამყვან უნივერსიტეტებს უფრო ნაკლები სტუდენტების შემთხვევაში. ბოლო 2017-2018 წლის აუდიტის დასკვნაში არ იკვეთება პერსონალის ფუნქციათა კვეთაც.

საბჭოს წევრი დალი კანდელაკი 4.1 ქვესტანდარტთან გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაინტერესდა დღეის მდგომარეობით, რამდენმა ახალგაზრდამ დაიკავა აკადემიური ან სამეცნიერო თანამდებობა 1 წლის განმავლობაში. რექტორმა უპასუხა, რომ ამის შესასრულებლად არსებობს ორი გზა: პირველი არის - მიღების კრიტერიუმების ჩამოწევა - მაგრამ ამავე დროს ასოცირებულ პროფესორს უნდა შეეძლოს ცოდნის გენერირება. მეორე გზა არის

საჭირო მოთხოვნების დატოვება, გამომდინარე იქიდან, რომ უნივერსიტეტი კვლევითია. რაც შეეხება მოთხოვნებს, ისინი შემდეგია: შიდა და გარე გრანტები, მაგისტრანტი ან დოქტორანტი სტუდენტის ყოლა. უსდ - ს წარმომადგენლის თქმით, უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტების 80% არიან ლაბორანტები, მაგისტრატურის შემთხვევაში კი ისინი ხდებიან სპეციალისტები. მან აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს აქვს დიდი მიღწევები საინჟინრო ფიზიკის მიმართულებებით, რომლის ფაკულტეტი უნდა გაუქმებულიყო, თუმცა მათ გადაწყვიტეს აიტის სტუდენტების რესურსის გამოყენება, რომლებიც ვერ სწავლობდნენ თავიანთ ფაკულტეტზე, ისინი მათ სთავაზობდნენ გადასვლას საინჟინრო ფიზიკის ფაკულტეტზე, ასევე, ასევე ამავე ფაკულტეტზე გადავიდნენ პროფესორებიც. უსდ - ს წარმომადგენლის თქმით ეს სტუდენტები არიან ის ხალხი, რომლებმაც შექმნეს უნიკალური ფიზიკის ლაბორატორია, ისინი მუშაობენ ციურიხის ცენტრში და არიან ძალიან წარმატებული სტუდენტები.

საბჭოს თავმჯდომარემ მეექვსე სტანდარტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მას ჰქონდა პატივი ყოფილიყო მიწვეული იგორ კვესელავას მიერ ტექნიკური უნივერსიტეტში გამართულ კონფერენციაზე. ის დაინტერესდა თუ იღებდა დაწესებულება სახელმწიფოსგან დაკვეთას კვლევის ჩატარებაზე ენერგეტიკის, მშენებლობის და ა. შ მიმართულებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს თავმჯდომარეს უპასუხა, რომ როდესაც შენდებოდა ენგური, სახელმწიფომ შექმნა 11 კვლევითი ინსტიტუტი მხოლოდ ერთი ობიექტისათვის, რომელიც აღარ არის და დაიშალა. მისი თქმით, ერთადერთი ადგილი სადაც შესაძლებელია ჩატარდეს ექსპერტიზა ენერგეტიკაზე, მშენებლობაზე არის ტექნიკური უნივერსიტეტი, სადაც უკვეთავენ პროექტს. გამომდინარე აქედან მათ აქვთ მუდმივი შეკვეთები პროექტის ექსპერტიზაზე, საშენი მასალის ექსპერტიზაზე და. შ. ისინი ასრულებენ საერთაშორისო დაკვეთას.

საბჭოს თავმჯდომარე ჩაეკითხა უსდ - ს წარმომადგენელს, თუ როგორ უთვლიდნენ ისინი პერსონალს დატვირთვას, რაზეც მან უპასუხა, რომ თუ დაკვეთა სახელმწიფოსგანაა ის არის უსასყიდლო და დატვირთვა ამ კუთხით პერსონალს ეთვლება საათებში. გარდა ამისა, მათ აქვთ შიდა პროექტებიც, სადაც აქვთ დატვირთვის შეზღუდვა 42. ხოლო რაც შეეხება დაკვეთებს მათ აქვთ მაგალითად, USID დაკვეთები, რომელსაც ასრულებენ უნივერსიტეტის პროფესურა.

საბჭოს წევრმა მარინა გედევანიშვილმა აღნიშნა, რომ მისთვის ბუნდოვანი იყო 6.1 ქვესტანდარტთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაციები, სადისერტაციო საბჭოსთან დაკავშირებით, როგორც ის მიხვდა არსებობს ფაკულტეტის საბჭოს გარდა, საუნივერსიტეტო საბჭო, რომელშიც არის მუდმივად 25 წევრი, მათგან 1/3 მოწვეული სპეციალისტები, ის დაინტერესდა როგორ ხდება ამ წევრების სადისერტაციო საბჭოში მიღება, ვინ არიან ისინი და რამ არ დააკმაყოფილა ექსპერტები. საბჭოს წევრმა ივარაუდა, რომ ეს წევრები არიან სხვადასხვა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი, დისერტაციის პროფილის მიხედვით კი ხდება პერსონალის შემომატება საბჭოში.

უსდ - ს წარმომადგენელი დაეთანხმა საბჭოს წევრს და უპასუხა, რომ ისინიც ვერ მიხვდნენ რეკომენდაციის აზრს, ის გაცემული იყო ექსპერტთა თქმით კანონიდან გამომდინარე, რაც ნამდვილად ასეა, ფაკულტეტის საბჭოს ყველა წევრი უნდა იყოს სადისერტაციო საბჭოს წევრი, უნდა შეიქმნას კოლეგიები, თუმცა მისი მოსაზრებით, ორი სხვადასხვა კოლეგია ვერ შეაფასებს ერთნაირად სტუდენტებს გამომდინარე მათი ხედვებიდან, მისი თქმით არ არსებობს მუდმივმოქმედი საბჭო, ადრე მუშაობდა 3 – 4 კოლეგია, ხოლო დანარჩენი ამტკიცებდნენ ისე, რომ

არ იცოდნენ შინაარსი. რამდენიმე წელი უნივერსიტეტი გეგმავდა შექმნილიყო საუნივერსიტეტო საბჭოები, მათ გააკეთეს ინიცირება კანონში შესულიყო ცვლილება და საფაკულტეტო სადისერტაციო საბჭოს დაემატა საუნივერსიტეტო საბჭო. ის განმარტავს, რომ ტექნიკურ უნივერსიტეტში სადისერტაციო საბჭოები აღარ არსებობს, შეიქმნა 22 საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო, რომელიც შედგება დარგის მიხედვით ყველაზე გამორჩეული 25 წევრისაგან, საიდანაც მოწვეული სპეციალისტების რაოდენობაა 1/3. მაგალითად, იქმნება ერთი საუნივერსიტეტო - სადისერტაციო საბჭო, რომელშიც შედის როგორც მექანიკა აგრო - საინჟინრო ასევე, მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის სპეციალისტები, სადაც შემოდის განცხადებები, აკადემიური საბჭო იხილავს დადგენილ კრიტერიუმებთან შესაბამისობას (სამეცნიერო მოღვაწეობა, პუბლიკაციები, იმპაქტფაქტორები და ა. შ) და ფარული კენჭისყრით ირჩევს 25 წევრს. ეს საბჭო არის მუდმივმოქმედი.

საბჭოს წევრმა მარინა გედევანიშვილმა სთხოვა დაეზუსტებინა უსდ - ს წევრს გარედან მოსული კოლეგიის წევრებიც მუდმივი წევრები იყვნენ თუ არა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მოწვეული სპეციალისტებიც არიან მუდმივმოქმედი საბჭოს წევრები 4 წლის ვადით. მან მოიყვანა მაგალითიც, რომ ერთ - ერთ განმცხადებელს, რომელიც საკმაოდ ცნობილი პიროვნებაა ჰქონდა სურვილი ყოფილიყო საბჭოს წევრი, თუმცა არ ეთანხმებოდა ერთ - ერთ მოთხოვნის კრიტერიუმს, კერძოდ, ნაშრომების პლაგიატზე შემოწმებას, ის თვლიდა, რომ ეს მისთვის შეურაცხმყოფელი იქნებოდა. შესაბამისად ეს ცნობილი პიროვნება არ იქნა არჩეული საბჭოს წევრად. მუდმივმოქმედი საბჭოს წევრები არიან წამყვანი სპეციალისტები.

საბჭოს წევრმა რიმა ბერიშვილმა მადლობა გადაუხადა რექტორს, იმისათვის, რომ ის ასეთი ჩახედულია თითოეულ საკითხში და აღნიშნა, რომ ის იმყოფებოდა ახლახან ნიცაში, სადაც გაეცნენ საფრანგეთში უნივერსიტეტების ფუნქციონირების მოდელს, კვლევისა და აქტივობის კუთხით, მისი თქმით, მულტიდისციპლინური იმ მიდგომით რაც არის სწორედ ეს ჰიბრიდულ მოდელები, მყარი სტრუქტურები და ფუნქციური ერთეულის შექმნა სარგებლოს ტექნიკური უნივერსიტეტი. ამ მოდელით გრანტების მოგებაც უფრო მარტივია, რადგან შეგიძლია მიმართო რამდენიმე სექტორს, ასევე, თითქმის არ დარჩა დარგი, რომელიც ჰიბრიდული არ არის, მაგალითად, მის შემთხვევაში, „ჯანდაცვის სამართალი". მან აღნიშნა, რომ მოდელი ნაცნობია, თანამედროვე და კარგია, რომ ამხელა უნივერსიტეტი ასეთი მოქნილი მოდელით სარგებლობს.

საბჭოს თავმჯდომარემ რეკომენდაციებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ არსებობს საკითხები, სადაც სწორხაზოვნად კანონის ნორმას უნდა მიჰყვე, თუმცა არის შემთხვევები, როცა საჭიროა დაწესებულების სპეციფიკის გათვალისწინებაც. ასევე, დაამატა, რომ ისინი ყოველთვის არ იზიარებენ ექსპერტთა დასკვნაში გაცემულ რეკომენდაციებს.

უსდ - ს წარმომადგენელმა დაამატა, რომ მართვასთან დაკავშირებით იყო გაცემული რეკომენდაცია, რომ მართვა მეტად ვერტიკალური ყოფილიყო, მაშინ როდესაც მართვის თეორიის მიხედვით 3 - ზე მეტი ვერტიკალი არაეფექტურია. ასევე, მან აღნიშნა, რომ ისინი გეგმავენ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დიპლომთან დაკავშირებით, შევიდნენ ინიციატივით სამინისტროში, რათა დიპლომში ჩანდეს სამართალის, ბიზნესს - ადმინისტრირების და ეკონომიკის ელემენტები, რაზეც საბჭოს წევრმა უპასუხა, რომ ახალი 180 კრედიტიანი მოდელი მათ მისცემს ამის საშუალებას და სტუდენტს ექნება დასაქმების მეტი შესაძლებლობა.

უსდ - ს წარმომადგენელმა ქეთევან ქოქრაშვილმა გაიხსენა შარშან, როდესაც ერთი ექსპერტი არ დაეთანხმა საექსპერტო დასკვნას და დააფიქსირა მისი პოზიცია დასკვნაში. ასევე, მეშვიდე სტანდარტთან დაკავშირებით, მან როგორც ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა დაამატა, რომ ტექნიკურმა უნივერსიტეტმა 2018 წლის მიწურულშივე გაითვალისწინა ბიუჯეტში შესაბამისი თანხები, დღეის მდგომარეობით უკვე დასრულებულია 3 000 000 მოცულობის სარემონტო - სარეაბილიტაციო სამუშაოები, შშმ პირებისათვის ყველა კორპუსში არის როგორც მისასვლელები, ასევე, სველი წერტილები ხელოვნური ვენტილაციებით - ეს ყველაფერი შიდა თანხებით დაფინანსებული. გარდა ამისა, უსდ - ს წარმომადგენლის თქმით, მათ აქვთ გარედან მოზიდული თანხებიც - 4 128 000 ოდენობით.

საბჭოს წევრი ირაკლი ხვთისიაშვილი დაინტერესდა 7.1 ქვესტანდარტთან გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, თუ ჩაატარეს შენობის მდგრადობის ექსპერტიზა და თუ შემოწმდა რამდენად უსაფრთხოა შენობა ექსპლუატაციის კუთხით, რაზეც უსდ - ს წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ტექნიკურ უნივერსიტეტს აქვს თვითდაფინანსების ცენტრი, რომელიც კვლევებს აწარმოებს, გასცემს საექსპერტო დასკვნებსაც, რომლის ფარგლებშიც მოხდა შემოწმება და გაიცა დადებითი დასკვნები ყველა შენობის მიმართ. ყველაზე არა მდგრადი შენობებს შორის იყო ახალი მეექვსე კორპუსი, რომელზეც ასევე, დადებითი დასკვნა გაიცა. ასევე, დაამატა, რომ სამხარაულში 99% მუშაობენ ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტები.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ მიერ გათვალისწინებული იქნა რეკომენდაცია პროფესორთა სივების შესახებაც და მოხდა მათი ატვირთვა ვებ - გვერდზე, რომელიც გახდა ხილვადი და საერთაშორისო შეფასებით 2018 წელს ისინი გავიდნენ პირველ ადგილზე ციტირების ინდექსით, იმპაქტფაქტორებით და ა. შ.

საბჭოს თავმჯდომარემ დიდი მადლობა გადაუხადა რექტორს, იმისათვის, რომ ის ასე ღრმად არის ყველა საკითხში ჩართული, უსურვა წარმატება, რადგან მისი თქმით, ასეთი სპეციფიკის დაწესებულების არსებობა და განვითარება სახელმწიფოსათვის ძალიან მნიშვნელოვანია.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" 25-ე მუხლის 6^1 პუნქტის შესაბამისად, ცნობად იქნეს მიღებული სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (ს/კ: 211349192) მიერ წარმოდგენილი ანგარიში.

საბჭოს სხდომაზე შესვენება გამოცხადდა: 16:32 საათზე.
16:32 საათზე სხდომა დატოვეს საბჭოს წევრებმა: თინათინ ბოჭორიშვილმა და რამაზ საყვარელიძემ.

საბჭოს სხდომა განახლდა: 16:48 საათზე.

2. ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტისთვის სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება, წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, რათა მათ დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტისთვის სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დამატებასთან დაკავშირებით.

ექსპერტმა მოახსენა საბჭოს, რომ ვიზიტი დაწესებულებაში განხორციელდა მიმდინარე წლის 15 ოქტომბერს, ის წარიმართა დღის წესრიგის მიხედვით მშვიდ გარემოში, ექსპერტებმა გამოითხოვეს დამატებითი დოკუმენტაცია, რაც დაწესებულებამ ოპერატიულად ადგილზე სრულად წარმოადგინა, შეხვდნენ ყველა ჯგუფს, რაც დღის წესრიგით იყო გაწერილი. ექსპერტმა განმარტა, რომ გამომდინარე იქიდან, რომ ვიზიტის მიზეზი იყო ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტისთვის სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დამატება ავტორიზაციის რეჟიმში, მათ არ განუხილიათ ყველა სტანდარტი, ისინი გაყვნენ პირველ, მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე სტანდარტებს არა ყველა ქვესტანდარტით. მისი მოსაზრებით, დაწესებულებას აქვს ყველანაირი რესურსი, იმისათვის, რომ მან დაიმატოს სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოდის თანხვედრაში უნივერსიტეტის სტრატეგიასთან და დაემატა ბაზრის კვლევის შედეგად. მისი თქმით, უცხოელ სტუდენტებს ჰქონდათ დიდი მოთხოვნა აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე. შესაბამისად, შეიქმნა საგანმანათლებლო პროგრამა ხანგრძლივი მუშაობისა და ანალოგებთან შედარების შედეგად. რაც შეეხება საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებს, ისინი ჩართულები იყვნენ მის შემუშავებაში, მათგან ერთ - ერთს აქვს აკადემიური გამოცდილება, ხოლო მეორე ხელმძღვანელი არის პრაქტიკოსი ექიმი, რაც არის საგანმანათლებლო პროგრამის ერთ - ერთი სერიოზული ღირსება, რადგან სტომატოლოგია ერთ - ერთი ისეთი სპეციალობაა, რომელიც პრაქტიკის გარეშე არ

არსებობს. ექსპერტის თქმით, საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართული იყვნენ ყველა დაინტერესებული მხარე: დამსაქმებლები, სტუდენტები და ა. შ. უცხოელ სტუდენტებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა ის გარემოება, რომ ეს საგანმანათლებლო პროგრამა მოთხოვნადია. რაც შეეხება მათ კმაყოფილებას, ისინი კმაყოფილნი არიან და მათი ერთადერთი მოთხოვნა იყო ის, რომ კამპუსი უფრო დიდი ყოფილიყო, რომელიც რეალურად იზრდება.

ექსპერტმა ირმა მანჯავიძემ აღნიშნა, რომ ამ უნივერსიტეტს უკვე აქვს მედიცინის საგანმანათლებლო პროგრამა და აქვთ პრაქტიკა ამ მხრივ. შესაბამისად, ისინი გაესაუბრნენ მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებს. რაც შეეხება, სტრუქტურას და შემადგენლობას, ისინი კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს შესაბამისად არის წარმოდგენილი. ასევე, ექსპერტმა დააზუსტა ის გარემოებაც, რომ დარგობრივი მახასიათებელი აქვს მედიცინის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას, ხოლო სტომატოლოგიის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამას ჯერ - ჯეროობით არ აქვს, ის ფასდება საერთაშორისო სტანდარტებისა და კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს შესაბამისად. ექსპერტები შეხვდნენ ბაზისური დისციპლინების პედაგოგებს, რომლებიც ასწავლიან ინტეგრირებული მედიცინის საფუძვლებს: ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა და ა.შ. აკადემიური პერსონალი სტომატოლოგიის მიმართულებით დაწესებულებას ჰყავს 9 პროფესორი, 4 პრაქტიკოსი ექიმი (მოწვეული). 12 პედაგოგზე მათ გათვლილი ჰყავთ 48 სტუდენტი. ექსპერტებმა დაათვალიერეს სტომატოლოგიური კლინიკაც, რომელიც ყველა პროცედურის გავლის, ლიცენზიის მიღების შემდეგ ამუშავდება. ერთ მხარეს არის კლინიკა, ხოლო მეორე მხარეს საოპერაციო სავარძლები (5 სავარძელი), ისიც მოწყობილია ტორსით, ფანტომებით, ყველა იმ საჭირო ატრიბუტიკით, რაც აუცილებელია სიმულაციური სწავლებისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ დიდი მადლობა გადაუხადა ექსპერტებს კვალიფიციური მუშაობისათვის და მიმართა საბჭოს წევრებს, რომ დაესვათ შეკითხვები.

საბჭოს წევრი ირაკლი ხვთისიაშვილი დაინტერესდა მეშვიდე სტანდარტთან დაკავშირებით, ბიუჯეტში გამოყოფილია 1 900 000 აშშ დოლარი 5 წლის განმავლობაში, წარმოდგენილია ფინანსური მდგრადობის გეგმაც, თუმცა ვერ ნახა კონკრეტულად ამ საგანმანათლებლო პროგრამისათვის გამოყოფილი ბიუჯეტი, რაზეც ექსპერტმა განუმარტა, რომ ეს საგანმანათლებლო პროგრამა იფუნქციონირებს ჯანდაცვის ფაკულტეტის ქუდის ქვეშ.

დაწესებულების წარმომადგენელმა შეუსწორა საბჭოს წევრს დასახელებული თანხის რაოდენობა და თქვა, რომ ბიუჯეტი გამოყოფილია 197 38, 37 აშშ დოლარის რაოდენობით და არა 1 900 000 აშშ დოლარის ოდენობით.

საბჭოს წევრმა მარინა გედევანიშვილმა საგანმანათლებლო პროგრამის დაშვების წინაპირობასთან დაკავშირებით გაიხსენა, რომ დაახლოებით ერთი წლის წინ ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის დროს მათ უნივერსიტეტს უცხოელი ექსპერტისაგან ჰქონდა რეკომენდაცია, ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგიის გამოცდის ჩატარების, რაც უნივერსიტეტს აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაზე წინაპირობად აქვს გაწერილი. ის დაინტერესდა ეს გამოცდები ადგილზე ტარდებოდა თუ იქ საიდანაც ჩამოდის სტუდენტი და ამ გამოცდებზე დადებითი შეფასება არის სავალდებულო პირობა ჩასარიცხად თუ არა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სრული ინფორმაცია დევს ვებ - გვერდზე. მისი განმარტებით ინგლისური B2 დონის კომპეტენცია არ არის საკმარისი, ამიტომ ტესტის

გადალახვის პროცენტი აწიეს 71% -მდე. ხოლო ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკის ტესტის 50% გადალახვის შემთხვევაში, სტუდენტი ავტომატურად უფლებამოსილია, რომ დაიწყოს სწავლა, 32% - ის შემთხვევაში ის ხვდება სპეციალურ მოსამზადებელ ჯგუფში. მან თქვა, რომ ეს გამოცდები არის ძალიან რთული, 545 აპლიკანტიდან 98 - მა ჩააბარა მედიცინის ფაკულტეტზე. ტესტი არის ერთი (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია), რომლისთვისაც ემზადებიან და მასზე განაცხადს აკეთებენ ისეთი სტუდენტები, რომლებიც უკვე ბაკალავრები არიან და სურთ მოხვდნენ მედიცინის სკოლაში. სწორედ ამიტომ აირჩიეს მათ 4 ნაწილიდან ტესტის პირველი ნაწილი, რომელსაც კორელაციაც მეტი აქვს იმასთან, რასაც შემდეგში მედიცინის სკოლაში ისწავლის სტუდენტი, გაკეთებულია მისი ანალიზიც. უსდ - ს წარმომადგენელმა განმარტა, რომ არსებობს აპრობირებული ტესტები და 175 მშობლიურ ენაზე მოსაუბრე ინგლისურენოვანი სტუდენტის ვიდეოჩანაწერებიც, რომელსაც უსმენენ იმის დასადგენად იციან თუ არა სტუდენტებმა ინგლისური.

რიმა ბერიშვილმა მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით ამოიკითხა ჩანაწერი, სადაც ეწერა, რომ სათანადო სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიის მიღების შემდეგ სტუდენტებს ექნებათ საშუალება გაიარონ პრაქტიკული კურსი სტომატოლოგიაში. მან აღნიშნა, რომ საუბარია დაწესებულების ნებართვაზე და არა სტუდენტის პრაქტიკული საქმიანობის ნებართვაზე. შესაბამისად, სასურველია ტექნიკური ხარვეზის გასწორება ჩანაწერში.

ექსპერტმა დაამატა, რომ სტუდენტთა გამოკითხვისას, მათ ჰკითხეს თუ როგორ ეკონტაქტებოდნენ ისინი პრაქტიკის დროს პაციენტებს, რაზეც მათ მიიღეს პასუხი, რომ მათ არ უჭირთ ურთიერთობა, სწავლობენ ერთმანეთთან კონტაქტით. ასევე, თქვა, რომ უცხოელი სტუდენტები სწავლობენ ქართულ ენასაც არა სავალდებულოდ, რომელსაც დაწესებულება მათ სთავაზობს უფასოდ. რაც შეეხება რესურსებს, ექსპერტმა აღნიშნა, რომ პრაქტიკულად ყველაფერი დაწესებულებას აქვს ელექტრონიზირებული, რითაც სტუდენტები არიან ძალიან კმაყოფილები.

საბჭოს წევრმა მარინა გედევანიშვილმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს კვალიფიციური დასკვნის შედგენისათვის და სთხოვა დაეზუსტებინა მხოლოდ ერთი საკითხი, სპეციალური, სავალდებულო და არჩევითი საგნების კრედიტებთან დაკავშირებით, რაზეც ექსპერტმა განუმარტა, რომ 300 არის საგანმანთლებლო პროგრამის კრედიტი და საგნების არჩევანი საკმაოდ მრავალფეროვანია.

საბჭოს წევრმა ლევან იმნაიშვილმა ჰკითხა უსდ - ს წარმომადგენელს სტუდენტური ინოვაციური ბიზნესს იდეების აღმოჩენასთან დაკავშირებით, რომ უკვე 2 წელია არსებობს მემორანდუმი ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსთან, მას აინტერესებს, რა ინოვაციური ბიზნესს იდეის აღმოჩენა მოხერხდა ამ პერიოდში.

უნივერსიტეტის რექტორმა დავით კერესელიძემ საბჭოს წევრს უპასუხა, რომ თანამშრომლობის ძირითადი მიზანი მდგომარეობდა იმაში, რომ მათ აქვთ დაფინანსების თანადაფინანსების მოდელი, ისინი დაინტერესდნენ მედიცინისა და აიტის ზღვარზე თანადამფინანსებლობაზე. სტომატოლოგიის შენობაშიც ერთ-ერთი სართული არის საერთო სამუშაო სივრცე, სადაც საინფორმაციო ტექნოლოგიის წარმომადგენლები მუშაობენ და აქვთ გარკვეული პროექტები დაკავშირებული ვიზუალიზაციასა და ვირტუალურ სწავლებასთან. რექტორის თქმით, მათ გამოყვეს ბიუჯეტი, დაუთმეს სივრცე, მისცეს მათ რეალური იდეების განხორციელების საშუალებაც, თუმცა ჯერ - ჯერობით რაიმე ინოვაციური იდეა არ არის აღმოჩენილი. მეორე მხრივ, მან აღნიშნა, რომ 2 წელი არც ისე დიდი დროა რაიმეს აღმოსაჩენად და დასაპანტენტებლად. რაც

შეეხება კლინიკურ სეგმენტს განმარტა, რომ მათ აქვთ სიმულაციური ცენტრი, კლინიკა (ნიუ დენტი) და გეგმები ლიცენზიის ასაღებად. ხოლო ქართული ენის ცოდნასთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ ადრე ქართული ენა ჰქონდათ სავალდებულო საგნების ბლოკში, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ სტუდენტი ვერ გადიოდა შედეგზე ის ამოიღეს სავალდებულო ბლოკიდან. მან თქვა, რომ მოთხოვნები პერმანენტულად მზარდია როგორც ქვეყნის მიმართ, ისე, ჯანდაცვის სისტემის მიმართ.

საბჭოს თავმჯდომარემ ღია კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტისთვის სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16[1] მუხლის პირველი და მე-4 პუნქტების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 30[1] მუხლის პირველი, მე-10 და მე-11 პუნქტების შესაბამისად, ა(ა)იპ - ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 404987332) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა.

საბჭოს სხდომაზე შესვენება გამოცხადდა 17:17 საათზე.

საბჭოს სხდომა სხდომა განახლდა: 17:19 საათზე.

17:19 საათზე საბჭოს სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა აკაკი ხელაძემ.

3. შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის ავტორიზაციის რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება, წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონია.

თვითაცილება გამოაცხადა საბჭოს წევრმა ქეთევან ცხადაძემ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს წარმოდგინა შესრულებული ანგარიში.

უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი ამილახვარმა აღნიშნა, რომ შარშან წარმატებით დაძლიეს ახალი ავტორიზაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისობის პროცესი, რომელიც იყო საინტერესო გამოწვევა მათთვის. მან მადლობა გადაუხადა ექსპერტებსა და ცენტრს, რადგან ეს პროცესი იყო ნამდვილად განმავითარებელი უნივერსიტეტისათვის, ის უფრო მდგრადია და ინსტიტუციური და მენეჯერული თვალსაზრისით იმართება უფრო უკეთ.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ხარისხის სამსახურის უფროსმა ნათია ვაჭარაძემ უშუალოდ ისაუბრა იმის შესახებ, თუ რა ქმედითი ღონისძიებები გატარდა რეკომენდაციებიდან გამომდინარე. მისი თქმით, პირველი რეკომენდაცია ეხებოდა სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტს, რომ კრიტიკული ნიშა, ფუნქციებისა და დატვირთვის გადანაწილება მომხდარიყო უფრო გამჭვირვალედ. ამ მიმართულებით მათ დეპარტამენტის შიგნითვე გაყვეს საქმისწარმოების მიმართულება და გააკეთეს აქცენტი ადამიანური რესურსის მენეჯერის თანამდებობაზე, გადამზადდა არსებული კადრი. მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ინსტიტუციის ადმინისტრაციული დეპარტამენტის ზრდასთან დაკავშირებით არ გაიცა გამოკვეთილად რეკომენდაცია, ისინი მაინც მიჰყვებიან სტრატეგიულ გეგმას, აცდნენ სამიზნე ნიშნულებს პოზიტიური ნიშნით და აქვთ 10% - იანი ადმინისტრაციული თანამდებობის მატება, რომელიც მოახერხეს 1 წლის განმავლობაში, სამიზნე ნიშნული კი მათი 60% -მდე გაზრდაა. შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა ხარისხის სამსახურში კვლევის სპეციალისტს, რომელთანაც არ ჰქონდათ ოფიციალურად გაფორმებული ხელშეკრულება, უსდ -ს წარმომადგენლის თქმით, არასამთავრობო ორგანიზაციამ მათ გაუწიათ რეკომენდაციები კვლევის მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით. გამოკითხვები ტარდება შიდა ხარისხის უზრუნველსაყოფად თითოეული სტუდენტის მოთხოვნის ფარგლებში. ასევე, რეკომენდაცია გაცემული იყო საერთაშორისო გამოცდილების კუთხით, რასთან დაკავშირებითაც დაწესებულების წარმომადგენლებისა და ექსპერტების პოზიცია იყო სხვადასხვა. როგორც ცნობილია, კვალიფიკაციის ეროვნული ჩარჩო ახლახან დამტკიცდა, თუმცა განათლების ეროვნულ კლასიფიკატორზე მუშაობა მათ დაიწყეს 2 წლის წინ, ახლანდელი ჩარჩო კი სრულიად ამ ჩარჩოზეა მორგებული, შექმნეს მეთოდური სახელმძღვანელოც, სადაც შევიდა სწავლის შედეგების შემუშავების მეთოდოლოგია, დაგეგმვა,

საუკეთესო პრაქტიკა უცხოეთს უნივერსიტეტებიდან და სხვა განმავითარებელი ქმედებები, რომლებიც განახორციელეს. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის მიმართ ინსტრუქციების მიცემასთან დაკავშირებით, უსდ - ს წარმომადგენელმა განმარტა, რომ ინტერვიურების დროს მის მიერ ვერ იქნა სწორად აღქმული და გაგებული ძირითადი ვექტორები.

დაწესებულების წარმომადგენელმა ქეთევან ცხადაძემ აღნიშნულთან დაკავშირებით თავის მხრივ დაამატა, რომ ვიზიტის დროს ის გახლდათ სამართალმცოდნეობის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი, ის იყო ინტერვიურების მონაწილე, სადაც მისი თქმით, გამოიკვეთა ერთ - ერთი კოლეგის მხრიდან კითხვის არასწორად აღქმა და გაგება. შესაბამისად, გაიცა რეკომენდაცია, თუმცა არა რეალური სურათიდან გამომდინარე. უსდ - ს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ხარისხის სამსახური არის ის სტრუქტურული ერთეული, რომელიც ძალიან დიდ დახმარებას უწევს უნივერსიტეტს, განსაკუთრებით სკოლებს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას, მეთოდების, კონსულტირებისა და სხვა დახმარების მხრივ, რაც ძალიან დასაფასებელია. მან მადლობა გადაუხადა ხარისხის სამსახურის უფროსს ნათია ვაჭარაძეს.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ხარისხის სამსახურის უფროსის კომპეტენციაში მას ეჭვი არ ეპარება, რაზეც მან მადლობა გადაუხადა გამოცდილების აღნიშვნისათვის.

ნათია ვაჭარაძემ განაგრძო საუბარი და თქვა, რომ სწორედ, ამ ნაწილში მათ გაუჭირდათ ექსპერტებთან დათანხმება. მისი თქმით, უნივერსიტეტის ნიშა არის სწორედ ის, რომ ყველა დაინტერესებული მხარე იყოს მაქსიმალურად ინფორმირებული, ახალი კვალიფიკაციების ჩარჩომ ბევრი კითხვის ნიშნები დასვა, სწორედ, ამიტომ სწავლის შედეგების შეფასების მხრივაც მოხდა უცხოური გამოცდილების იმპლემენტირება.

უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი ამილახვარმა საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების წესთან გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ის ნაწილობრივ გააზრებული იქნა. მისი თქმით, ახალი სტანდარტების დადგენის შემდეგ გადაფასდა ფინანსური, ადამიანური თუ სხვა რესურსები. შესაბამისად, მანამ სანამ საავტორიზაციო თვითშეფასებაზე დაიწყებდნენ მუშაობას დაწესებულებას ჰქონდა 40 – 45 საგანმანათლებლო პროგრამა, ხოლო რაციონალურად რესურსების დათვლის შემდეგ მათი რაოდენობა შემცირდა 20-25 მდე, შემცირების მიზეზი იყო ისიც, რომ გამოკითხვების შედეგად დადგინდა, რომ ისინი არ იყო მოთხოვნადი საგანმანათლებლო პროგრამები. ექსპერტთა ჯგუფისგან რეკომენდირებული იყო, რომ მომხდარიყო შესაბამისი წესის გაწერა, რასთან დაკავშირებითაც ხარისხის სამსახურის და სასწავლოს დეპარტამენტებმა შეიმუშავეს აღნიშნული წესი. უსდ - ს წარმომადგენლის განმარტებით, იგივე აკრედიტაციის საბჭომ დაადგინა პრაქტიკა, რომ მთავარია მობილობის უზრუნველყოფა, თუ საგანმანათლებლო პროგრამაზე არიან სტუდენტები და აღნიშნული წესის შემუშავება აუცილებლობას არ წარმოადგენს, ეს სრულიად უნივერსიტეტის გადასაწყვეტია მისი ავტონომიურობის პრინციპიდან გამომდინარე.

ხარისხის სამსახურის უფროსმა განაგრძო ანგარიშის წარმოდგენა და აღნიშნა, რომ შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა მედიცინის მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირებას, დარგობრივ დოკუმენტთან შესაბამისობის დადგენისათვის ერთი წელი განისაზღვრა და სწორედ, ავტორიზაციის პერიოდი აღმოჩნდა შუალედური პროცესი, მათ ჰქონდათ ორი სახის პროგრამა, ერთი ინტეგრირებული, მეორე არა. უსდ - ს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფში შედიოდა უცხოელი ექსპერტი მედიცინის მიმართულებით, რომელმაც საუკეთესო პრაქტიკად გამოიტანა მედიცინის სკოლა და მასში

შემავალი აკადემიური პერსონალის ხარისხობრივი მაჩვენებელი. ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების მიზნით, მათ შეიმუშავეს ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის პრეცენდენტი არ არსებობს. ამ საკითხში ჩართულია, უნივერსიტეტის პროფესორი და ასევე უცხოელი პროფესორი ლორა ლაური, რომელიც ჩაერთო უშუალოდ საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსობრივ ნაწილში. შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების დახვეწას, მისი თქმით, საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება და განვითარება დინამიური პროცესია და სწავლის შედეგებს ჩამოაყალიბებენ მახასიათებლების მიხედვით. პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს რაც შეეხება, ის მათ ექსპერტთა ვიზიტისასაც ჰქონდათ, თუმცა საკვალიფიკაციო მოთხოვნები ეხებოდა ადამიანური რესურსების მენეჯერის პოზიციაზე მყოფ პირს, რომელიც გადაამზადეს სამ თვიანი შესაბამისი კურსებით, სერტიფიკატის გაცემით. დაწესებულებას ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტებიც, რასაც კანონმდებლობაც ავალდებულებს მათ. უსდ - ს წარმომადგენლის თქმით, ინსტიტუცია არის მდგრადი და პერსონალის გადინების მაჩვენებელი ფაქტიურად 0% -ზეა, რადგან ინსტიტუცია ჰქმნის განცდას, რომ ნებისმიერ დასაქმებულ პირს უქმნიან შესაბამისს პირობებს სამსახურში, ეს არის ერთ - ერთი მაჩვენებელი, რითაც ისინი ითვლიან პროდუქტიულობას. რაც შეეხება დატვირთვებს, ინტერვიურების დროს ზუსტი ციფრობრივი მაჩვენებელი არ იქნა წარმოდგენილი ინტერვიურების დროს ჩართული პირის მიერ, დაწესებულებას მაშინაც ჰქონდა დატვირთვის სქემა, ამჟამად კი ის ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად აქციეს, სადაც შედის როგორც სასწავლო, სამეცნიერო - კვლევით და ნებისმიერი სხვა დატვირთვა. ასევე, ექსპერტთა ჯგუფის მიერ რეკომენდირებული იყო სწავლის საფასურის გადახდის ერთიანი სისტემის შემუშავება უცხოელი და ქართველი სტუდენტებისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ შეაწყვეტინა უსდ - ს წარმომადგენელს საუბარი და აღნიშნა, რომ ეს თვითონ ინსტიტუციის გადასაწყვეტია, როგორ სისტემას შეიმუშავებს.

უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი ამილახვარმა აღნიშნა, რომ მათ ეს რეკომენდაცია გაიზიარეს მცირე ნაწილით, რადგან ქართულ სეგმენტში სტუდენტი არის გრანტიანი, სოციალურად დაუცველი და ა. შ. შესაბამისად, ვერ იქნება ყველასთვის ერთიანი გადახდის წესი.

საბჭოს წევრმა ირაკლი ხვთისიაშვილმა მოიყვანა შოტლანდიის მაგალითი, სადაც შოტლანდიელებისთვის სწავლა უფასოა, ხოლო უცხოელი სტუდენტისათვის ძალიან ძვირი.

საბჭოს წევრი დალი კანდელაკი დაინტერესდა გადახდა ადმინისტრაციულ გრაფიკთან იყო დაკავშირებული თუ საფასურთან დაკავშირებით, რაზეც გიორგი ამილახვარმა უპასუხა, რომ რეკომენდაცია გაიცა გადახდის გრაფიკთან დაკავშირებით, მაგალითად, ისინი უცხოელს თხოვდნენ წინასწარ გადაეხადა სემესტრის ან 1 წლის საფასური რეგისტრაციის ან სწავლის დაწყების წინ, ხოლო ქართველებს უქმნიდნენ სხვანაირ სისტემას. შესაბამისად, ისინი ვერ მიხვდნენ რეკომენდაციის მიზანს, რადგან საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობისათვის მნიშვნელოვანია ეს საკითხი, თუმცა მაინც ნაწილობრივ მოხდა რეკომენდაციის გაზიარება და გრაფიკი გაათანაბრეს იმ დოზით, რა დოზითაც მათ ეს შეძლეს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაგრძო ანგარიშის წარმოდგენა და აღნიშნა, რომ შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა სამაგისტრო ნაშრომების შეფასების გამკაცრებას. გამომდინარე აქედან, მათ გაამკაცრეს რეგულაციები, აქვთ მეტი ფილტრი, გაზარდეს კომისიის წევრებისა და რეცენზენტების რაოდენობა, წელს ჩაერთო დამამთავრებელი კურსის სტუდენტი და მაგისტრატურის და ბაკალავრიატის სტუდენტები ანტიპლაგიატის პროგრამაში, რომელიც არის

ერთ - ერთი ძირითადი პრევენცია. პერსონალის გამოცემების რაოდენობას რაც შეეხება, მისი თქმით, სასურველია იყვნენ დინამიკაში, რომ რაც შეიძლება მეტი ხარისხიანი გამოცემა ჰქონდეთ. ჟურნალი, რომელიც 10 წელია უნივერსიტეტს აქვს ჩაერთო ებსკოს (EBSCO) ბაზაში, აღიარებულია მის მიერ, რაც ხელს უწყობს პერსონალის დაინტერესებას. რუსთაველის ეროვნული ფონდიც მათი მოხმარებადი პლატფორმაა ამ კუთხით. ტალინის უნივერსიტეტის პროფესორის მიერ დაწესებულებაში ჩატარდა ლექცია აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით. შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა დაფინანსების გამჭვირვალე წესსა და კრიტერიუმების შერჩევას, რასთან დაკავშირებით მათ ჩაშალეს შეფასება რუბრიკებად. ინტერნაციონალიზაციას რაც შეეხება უსდ - ს წარმომადგენლის თქმით, ისინი არიან პატარა ინსტიტუცია და 10 - მდე უცხოეთის უნივერსიტეტთან ინტენსიურად თანამშრომლობენ. კონფუცის ინსტიტუტისგან მათი სტუდენტები უფასოდ იღებენ ენის უნარ - ჩვევებს და მიემგზავრებიან ჩინეთის წამყვან უნივერსიტეტებში, ასევე, ერასმუსის პლიუსის პროგრამის ფარგლებში თურქეთის უნივერსიტეტშიც წარგზავნილი ჰყავთ სტუდენტები. უსდ - ს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ინტერნაციონალიზაციის პროცესი შემდგომში კიდევ გაძლიერდება, მისი თქმით, მათ უცხოეთის უნივერსიტეტის პროფესორები ჰყავთ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული. რეკომენდაცია იყო პერსონალის პროდუქტიულობის ამაღლებისათვის რიგი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება, მათ შექმნეს დარგობრივი კომისიები სკოლის საბჭოებთან ინტეგრირებით და კვლევის კრიტერიუმები გახადეს უფრო გამჭვირვალე, მრავალწახნაგოვანი, მათ შეუძლიათ დაფინანსება მოიპოვონ ინდივიდუალურად ან ჯგუფურად, რომელიც გამოცხადდება სკოლის ინიცირებით, სკოლა კალენდარული წლის დასაწყისში გეგმის სახით წარადგენს სხვადასხვა პროექტებს.

საბჭოს წევრმა დალი კანდელაკმა სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ინსტრუქციასთან დაკავშირებით, ჰკითხა უსდ - ს წარმომადგენელს თემის შერჩევა მაგისტრანტის მიერ როგორ ხდება, როგორ პოულობს ის ამ ხელმძღვანელს და როგორ ხდება ზოგადად ეს პროცესი, რაზეც უსდ - ს წარმომადგენელმა სამართალმცოდნეობის დეკანმა ქეთევან ცხადაძემ უპასუხა, რომ სამართალის სკოლას აქვს მხოლოდ სამაგისტრო ნაშრომი, მაგისტრატურაზე სტუდენტთა რაოდენობა არის გაცილებით ნაკლები, ვიდრე საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე. მისი განმარტებით, თავად სტუდენტს პირველი სემესტრიდან აქვს კონსულტაციები პროფესორისგან თემის ინტერესიდან გამომდინარე და ერთობლივი შეთანხმებით ლექციებიდან მიდიან იმ დასკვნამდე თუ რა თემას აირჩევს მაგისტრანტი - ეს არის პირველი ეტაპი, რომელიც ზეპირია, ხოლო, მეორე ეტაპია კათედრისთვის გადაცემა.

საბჭოს წევრი მარინა გედევანიშვილი დაეთანხმა უსდ - ს წარმომადგენელს, გიორგი ამილახვარს, რომ ავტორიზაციის პროცესი არის ძალიან საინტერესო პროცესი, რომელმაც დაწესებულების წარმომადგენლებს ასწავლა დოკუმენტების სისტემატიზაცია. რაც შეეხება, უცხოელ ექსპერტებს, საბჭოს წევრის თქმით, მას ზოგიერთი რეკომენდაცია არ მიაჩნია სწორად, რადგან უცხოელი ექსპერტები მათ გასცემენ საკუთარი ქვეყნის გადმოსახედიდან და ტრადიციებიდან გამომდინარე, რაც ჩვენთვის დამაბნეველია.

უნივერსიტეტის რექტორი გიორგი ამილახვარი ჩაერთო საუბარში და აღნიშნა, რომ ავტორიზაციის პროცესი საერთაშორისოა და შეიძლება უფრო მეტი საერთოს ნახვა, თუმცა აკრედიტაციის პროცესში ეს პრობლემა უფრო ღრმად დგას. საბჭოს წევრი დაეთანხმა უსდ - ს წარმომადგენელს და თქვა, რომ გამომდინარე აქედან, ისინი არ არიან ვალდებულები გაიზიარონ ყველა რეკომენდაცია გაცემული უცხოელი ექსპერტებისაგან. ასევე, მან ხაზგასმით აღნიშნა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი და თვითონ

ხარისხის სამსახურის უფროსის დამსახურებები. ასევე, მისი ყურადღება მიიქცია გამოკითხვის ერთმა ფორმამ: „სადოქტორო ხელმძღვანელობის შეფასებამ", რომელიც მისი მოსაზრებით, ნიშნავს იმას, რომ უნივერსიტეტი ემზადება სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისათვის, რაც მისთვის სულაც არ არის გასაკვირი გამომდინარე იქიდან, რომ უნივერსიტეტს ჰყავს ორი უძლიერესი იურისტი: ქეთევან ცხადაძე და გიორგი ამილახვარი.

საბჭოს წევრი ლევან იმნაიშვილი, კვლევითი პროექტების შერჩევის წესთან დაკავშირებით დაინტერესდა ერთ - ერთი კომპონენტით: „კვლევითი პროექტის აუცილებლობის დასაბუთება", რომლისთვისაც განკუთვნილია 5 ქულა, საბჭოს წევრისთვის გაუგებარია ეს კომპონენტი, როდესაც არსებობს: სამეცნიერო ღირებულებისა და პრაქტიკული ღირებულების კომპონენტები.

უსდ - ს წარმომდგენელმა განმარტა, რომ ეს კომპონენტი არსებობს, იმისათვის, რომ სტუდენტმა წარმოაჩინოს საკითხის მიზანშეწონილობა. ქეთევან ცხადაძემ, რომელიც არის ერთ - ერთი ექსპერტი სამეცნიერო - კვლევითი პროექტების შეფასების კუთხით დაამატა, რომ ეს სტანდარტი აქვს შოთა რუსთაველის ეროვნულ ფონდს, სადაც ერთ - ერთი პუნქტია აუცილებლობის კომპონენტი, როდესაც საგრანტო წინადადება შემოდის კვლევითი პროექტის სახით.

ლევან იმნაიშვილმა აღნიშნა, რომ ეს პუნქტი არის ზედმეტი კვლევითი პროექტების შერჩევის წესში. საბჭოს წევრმა დასვა მეორე შეკითხვაც სხვა სამეცნიერო კვლევითი შინაარსის აქტივობასთან დაკავშირებით, ის დაინტერესდა თუ, რატომ ფასდებოდა კვლევითი შინაარსის აქტივობა ეთიკის კომიტეტის მიერ.

უსდ - ს წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ეთიკის კომისია აფასებს კეთილსინდისიერებას და ეთიკურ საკითხებს, მან ივარაუდა, რომ დაშვებულია ტექნიკური სახის ხარვეზი, საუბარია დატვირთვის სქემაზე, სადაც მოაზრებული შეიძლება ვერ იქნას ყველანაირი დატვირთვა და აღინიშნება, როგორც სხვა აქტივობა. გიორგი ამილახვარმა, თავის მხრივ დაამატა, რომ ის აკრედიტაციის სტანდარტებშიც ლობირებს, რომ კოლეჯი, სასწავლო უნივერსიტეტი და უნივერსიტეტი კვლევით ნაწილში ერთი და იგივე სტანდარტით არ უნდა ფასდებოდეს და მიაჩნია, რომ ეს არის სტანდარტის ნონსენსი. რა თქმა უნდა ისინი გაიზიარებენ საბჭოს წევრების რჩევებს, მაგრამ ისინი სასწავლო უნივერსიტეტის წარმომადგენლები არიან და არცერთ უნივერსიტეტზე ნაკლები კვლევით კომპონენტთა ბიუჯეტი და მოგებული გრანტები არ აქვთ.

უსდ - ს წარმომადგენელმა ქეთევან ცხადაძემ აღნიშნა, რომ ეთიკის კომისია მათ შორის განიხილავს, კვლევითი პროექტების კეთილსინდისიერების თვალსაზრისით პლაგიატს, რომელიც კომპონენტებში არ არის ჩაშლილი, თუმცა თუ ეს ასეა ისინი გაითვალისწინებენ შენიშვნას და შეასწორებენ ტექნიკურ ხარვეზს.

საბჭოს წევრი გიორგი აბრამიშვილი 3.1.2 ქვესტანდარტთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაინტერესდა თუ რას ნიშნავდა საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში საგანმანათლებლო ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინება.

უსდ - ს წარმომადგენელმა ხარისხის სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაცია იყო საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების წინაპირობა ყოფილიყო შრომის ბაზრის იმ მიმართულებით კვლევა, რა მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამასაც წყვეტს დაწესებულება, ანუ იყო თუ არა მოთხოვნა ბაზარზე არსებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი ამილახვარმა დაამატა, რომ მისთვის ეს რეკომენდაცია არის ნონსენსი, რადგან დაწესებულებას აქვს ნება გააუქმოს ესა თუ ის საგანმანათლებლო პროგრამა. თუმცა რეკომენდაცია მაინც გაითვალისწინეს და მოახდინეს საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების წესის დაზუსტება.

საბჭოს წევრი დალი კანდელაკი დაინტერესდა დაწესებულების მიერ გაცემულ მე 100 დადგენილებაში, რომელიც გამოიცა 2019 წლის 2 სექტემბერს რატომ მოაქცია დაწესებულებამ ამდენი რამ. დადგენილებაში წერია დაწესებულების სენატის მიერ 2019 – 2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში: საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით კურსების გახორციელება, საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირება, საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წინაპირობები, პროფესიული გადამზადების ხარისხის პროფესიული დამტკიცება და ა. შ. ხოლო დადგენილების ბოლო წინადადება ეხება უცხო ქვეყნის მოქალაქის საფასურის გადახდის წესის ცვლილებას. საბჭოს წევრი დაინტერესდა აღნიშნული ჩამონათვალი, რომელიც ერთმანეთთან ბმაში არ არის მხოლოდ შემოდგომის სემესტრს ეხებოდა თუ არა.
უსდ - ს წარმომადგენელმა უპასუხა, რომ გროვდება რიგი საკითხები, რომელსაც იხილავს სენატი და გამოსცემს დადგენილებას არა მხოლოდ კონკრეტულად იმ სემესტრისათვის, არამედ აქტუალურ და პრობლემატურ სხვა საკითხებზეც.

უსდ - ს წარმომადგენელმა დააზუსტა, რომ სენატი როგორ განიხილავს საკითხებს ეს გემოვნების საკითხია.

საბჭოს წევრი ირაკლი ხვთისიაშვილი დაინტერესდა რას ნიშნავდა უნივერსიტეტის ლოგო, რაზეც ქეთევან ცხადაძემ უპასუხა, რომ პირველი ის აღნიშნავს უნივერსიტეტის ღიაობას, და მეორე რელიგიური თვალსაზრისით მას აქვს ის დატვირთვა, რომ ის არ არის ჩაკეტილი.

საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დაწესებულების წარმომადგენლებს ამომწურავი ანგარიშის წარმდგენისათვის და აღნიშნა, რომ ის 90 -იანი წლებიდან იცნობს ღია უნივერსიტეტს, რომელიც მისი თქმით, მზარდი და განვითარებისაკენ მისწრაფებადი ინსტიტუციაა. გარდა ამისა, უსაფრთხოების ექსპერტებად დაწესებულებაში იმყოფებოდნენ აკადემიის თავდაცვის ყოფილი სარდლები, სამხედრო პირები, რომლებიც აღფრთოვანებულები იყვნენ არა მხოლოდ სტაფით არამედ დაწესებულების მხრიდან ხელშეწყობის დონით. მან წარმატებები უსურვა ღია უნივერსიტეტს და თქვა, რომ გიორგი ამილახვარის ნოვატორული იდეებითა და მოცემული სტაფით დაწესებულება აუცილებლად წინ წავა.

დაწესებულების წარმომადგენელმა გიორგი ამილახვარმა მადლობა გადაუხადა საბჭოს მხარდაჭერისათვის.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის მიერ ავტორიზაციის რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების" 25-ე მუხლის 6[1] პუნქტის შესაბამისად, ცნობად იქნეს მიღებული შპს თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის (ს/კ: 202192643) მიერ წარმოდგენილი ანგარიში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დაიხურა 18:04 საათზე.

თავმჯდომარე:
მარიამ დარბაიძე

მდივანი:
ნინო ხოლუაშვილი

დალი კანდელაკი